საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-673

17/05/2021

ქ. თბილისი

უცხოური საწარმოს ფილიალის „ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალი საქართველოში“-ს ასფალტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 3 ოქტომბრის №ი-496 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 14 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა უცხოური საწარმოს ფილიალის „ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალი საქართველოში“ პროექტის მენეჯერმა და ითხოვა 2016 წლის №45 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2016 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ უცხოური საწარმოს ფილიალის „ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალი საქართველოში“ ასფალტის წარმოებაზე (წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოზნი), გაიცა №45 (30.09.2016) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქმიანობა დასრულდა და მოხდა ყველა დანადგარის დემონტაჟი. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უცხოური საწარმოს ფილიალის „ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალი საქართველოში“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უცხოური საწარმოს ფილიალის „ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალი საქართველოში“-ს ასფალტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 3 ოქტომბრის №ი-496 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს უცხოური საწარმოს ფილიალს „ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალი საქართველოში“;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს უცხოური საწარმოს ფილიალის „ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალი საქართველოში“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი